მცირე წლოვანთათვის

შ ი ნ ა ა რ ს ი:

1 მოლოდინი . . . . . 401
2 მტრის განდევნა . . . . . 403
3 კატა და ცხენი . . . . . 411
4 არწივი და ფუტკარი . . . 412
5 ამწვანებულ სამეფოში . . . . 413
6 ვახტანგ გორგასალიდან ბაგრატ მესამემდე . . . . . 421
7 ნარევი: მუსიკის მოსიყვარული პირუტყვები. . . . . 424
8 სახალისო სამუშაო და გასართობი: ა) ზარი, ბ) ხალხური, გ) სახუმარო ამოცანები, დ) რებუსი და ე) ახსნა 425

№ XV

ი ვ ნ ი ს ი

1905

ტფილისი
ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. მხსახაგობის
1905

ეროვნული ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою 10-го іюня 1905 г. Тифлисъ

# მოლოდინი

(სურათი)

ხბობო ბღავის, დედას ეძახის,—
რა ქნას რომ მუძუ სწყურია!..
მოდის ნახირი, თან მოსდევს
ქვრივ მარიამას ფურია.
მოსჩანს დელფანა, თან მოაქვს
რძით გატიკნული ცურია.
ხბოსთან სჩანს ჰატარა სოფო,
უთმენლად უცემს გულია:
რძეს აჭმევს, იმიტომა აქვთ
იმისი სიყვარულია.
ფურმა ხმა მისცა თავის შვილს,
ეზოში ჟრიამულია.
გარს შემოერტყა დელფანას
ქვრივის ოჯახი სრულია.
ჰატაც კი გამოეგება,
იქვე კუდს იქნევს მურია.
სარიც თან მოჰყვა ნიკორა—
სიბერით დაჩაგრულია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქედ-გახრემილი უღლისგან,
დამწვარი დადაგულია.
იმას ზედ არვინ შეჰხედა,
არავინ უგდო ყურია.

ვაჟა ფშაველა

# მტრის განდევნა

(ზღაპარი მამინ-სიბირიაკისა)

## I

— მამა, მამა, ერთი ზღაპარი მიამბე.

— რა ზღაპარი, ჩემო გოგონავ?

— დათვის ზღაპარი, მამილო.

— მაშ კარგად დამიგდე ყური:

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გმელ-ცხვირა კოლო და კუდ-მოკლე დათვი.

ეს ამბავი შუადღისას მოხდა, როდესაც საშინლად ჩამოცხა და კოლოებმა ჭაობში შეაფარეს თავი სიცხეს; ჩვენი კოლო კი ფოთოლს ამოეფარა და ისე ჩაიძინა. ძილში საშინელი ყვირილი მოესმა:

— გვიშველეთ! დაგვხოცეს!

წამოხტა ნაძინარევი და მეზგარი ხმით დაიწივლა:

— რას ყვირით? რა დაგემართათ?

დიდად აღშფოთებულნი იყვნენ კოლოები: დაფრინავდნენ, ბზუოდნენ და ჰირველში ვერაფერი გაიგო ნაძინარევმა.

შემდეგ-კი გამოირკვა, რომ ჭაობში გასაგრილებლად დაი-თვი ჩაწოლილიყო და ქვეშ მოეყოლებინა ხუთასი კოღო!.. ერთი შეისუნთქა და ასი კოღო გადაულახაო! ძლივს დავახ-წიეთ თავი, რომ არ გამოექცეულიყავით ჩვენ უარესი დღე დაგ-ვადგებოდაო...

— დამშვიდდით, ბატონებო! გავგზავნოთ ვინმე, ვთხოვოთ მოგვშორდეს და, თუ თხოვნა არ შეიწუნარა, ჩვენებურად ავმხედრ-დეთ, ამ განსაცდელისთვის წინამძღოლი ამოვირჩიოთ, და შეერ-თებული ძალით განვდევნოთ მტერი.

მოეწონათ რჩევა. ჩვენი კოღო ერთხმივ ამოირჩიეს წინა-მძღოლად და სახელიც შესაფერი უწოდეს—კოღო ბატონი.

— დამშვიდდით, გაჩუმდით, უბრალოდ ნუ ეაუანებთ; ეხლავე წავალ და მოველაპარაკები დათვს. მოიკრიბა კოღო ბატონმა რაც ძალი და ღონე ჰქონდა და ჭაობისკენ გაფრინდა.

ჭაობში მართლა დათვი იწვა; დასცხომოდა და გასაგრი-ლებლად სწორედ იმ ბალახში ჩაწოლილიყო, სადაც კოღოები ცხოვრობდნენ.

წევს და საშინლად ფშვინავს; ცხვირით ისე უშტვენს, თითქო საყვირს უკრავსო.

— რა უსინდისო რამ ყოფილა! შემოთრეულა ჩვენს სამფლობელოში, ამდენი კოღოები დაუსრესია და არხეინადაც სძინავს, გაიფიქრა კოღო ბატონმა.

— ეი, ბიძიავ, შენ აქ რა გინდა? დაუყვირა კოღო-დეს-ვანმა იმისთანა ხმით, რომ თითონვე შეეშინდა.

დათვმა ჯერ ერთი თვალი გაახილა და ვერავინ დაინახა. აახილა შემდეგ მეორე თვალი და ძლივ-ძლიობით გაარჩია გმელ-ცხვირა კოღო.

— რა გინდა ჩემგან, მეგობარო? ჰკითხა დათვმა, მაგრამ უცბად ბრაზი მოერია და შეუტია:

— ეს იყო ტკბილად ჩამთვლიმა და შენი საზარელი ბზუ-ილი შემომესმა. რად გამიკრთე ძილი, შე ბრიყვო შენა?

— არ იცი, ძამიავ, რომ ჩვენს სამფლობელოში ჩვენს უნებურად ვერავინ გაიჭაჭანებს? მოდი, მშვიდობიანად შორგშორდი, თორემ...

დათვმა ორივ თვალი გაახილა, დაუბღვირა თავზედ სელაღებულს კოლოს და ძალიან გაჯავრდა:

— თორემ?.. თორემ?.. კიდეც რომ მემუქრება ეს სამაგალი!

— წადი, გაგვშორდი! იცოდე, სუმრობა არ გვიყვარს... შეგჭამთ! გადაგულაბავთ! შეუტია კოლო ბატონმა.

დათვს ეს მუქარა სასაცილოდ არ ეყო, გადაბრუნდა მეორე გვერდზედ, თათი ხირზედ მიიფარა და ტკბილად ჩაიძინა.

## II

გაფრინდა ვითომდა გამარჯვებული კოლო-ბატონი და კოლოთ კრებულს მოახსენა:

— ძალიან შევაშინე დათვი. მეორედ, დარწმუნებული ვარ, ველარ გაბედავს აქ მოსვლას.

განცვიფრდნენ კოლოები, და ჰკითხეს:

— რა იქნა დათვი?

— იქვე გდია, მკვდარი! რომ შევუტიე და ვუთხარ, გაგვცალე, თორემ გადაგულაბავთ მეთქი, შეშინდა გული წაუვიდა და ხირქვე დაეცა. მანამ მე თქვენთან მოვფრინდებოდი, დარწმუნებული ვარ, კიდეც მოკვდებოდა. მაგრამ ვისი ბრალია? თავისი ბრალია, უბედურისა! სხვის ბინა რად დაიჭირა?

— დათვი შენი შიშით არ მოკვდებოდა, დაიძახეს კოლოებმა, და ისევ ხმაურობა და ბზუილი ასტეხეს. არ გვახსოვს, რომ ჩვენი ჯაობის მიდამოები შეელახოს ვისმეო, ჩივოდნენ. ბოლოს გადასწვიტეს, ერთად დავეცნეთ და ისე განვდევნოთ ბრიყვი დათვიო...

— წავიდეს თავის ტყეში და იქ დაიძინოს, ჯაობი კი მამა-ბაბითვე ჩვენი ოფილა და კვლავაც ჩვენი იქნებაო.

ამ თათბირის დროს მარტო გადაურჩებული კოლოები იყვნენ ომის წინააღმდეგნი. ერთმა იმათგანმა სიტყვაც წარმოსთქვა:

— თავი დაანებეთ მაგ დათვს, დეე ეგდოს! გამოიძინებს, ადგება და წავა!..

მაგრამ არც კი გაათავებინეს და საბრძოლველად გაემართნენ.

— აბა, წავიდეთ, ძმებო! მრისხანე სძით ყვიროდა კოლობატონი. ჩვენ ვაჩვენებთ სეირს! გაფრინდა და დაედევნენ დანარჩენიც. საშინელი ხმაურობით და ბზუილით მიფრინდნენ ჯაობთან. დათვი ისევ ისე იწვა და იმათ ხმაურობაზედ არც კი გაინძრა.

— აკი გითხარით, შიშით მოკვდა მეთქი, ამისრულდა კიდეც ნათქვამი. დაიტრაბახა კოლობატონმა და თან სიბრალულიც კი გამოაცხადა: ერთი შეხედეთ, რა უხარმაზარი რამა გდიაო.

— წარმოიდგინეთ, სძინავს! წამოიძახა ერთმა ხაწაწკინა კოლომ: თამამად თურმე მიფრინდა დათვის ცხვირთან და უკანასკნელმა სუნთქვის დროს კინაღამ ნესტოში შეითრია.

— ეგ ბრიყვი! ეგ უსინდისო! შეჰყვირეს ერთხმად კოლოებმა. აიკლო აქაურობა, ხუთასი ძმა გაგვისრისა, ასი გადაგვიულაჭა და ისე წევს და სვრინავს, თითქოს აქ არაფერი მომხდარიყოსო!

— მაშ თავი მოიმკვდარუნა! დაიყვირა კოლობატონმა და გაექანა დათვისკენ, მე გავაცოცხლებ მაგას!

— ეი, ბიძიავ, გეყოფა ხუმრობა!

მივარდა დათვს და შიგ ცხვირში ჩაუბნია თავისი გძელი ნესტარი.

დათვმა ტკივილი იგრძნო, წამოხტა, თათი მოიქნია, მაგრამ კოლოს კი ვერ გაჰკრა.

— რაო, ბიძიავ, არ მოგეწონა, ჰო! ნიშანი მოუგო კოლო-ბატონმა. ისევ ინამუსე, თავი დაგვანებე, თორემ ღვთის წყალობა მაქვს, ავი დღე შენ დაგაყენოთ: მე მარტო კი არა ვარ, მთელი კოლოეთი თან მახლავს.

— არ მოგშორდებით, არა! შეჰყვირა დათვმა და წამოჯდა; გაჩუმდით, თორემ ყველას დაგსრესავთ.

— ტყუილად ტრაბახობ, ბიძიავ, მიუგო კოლო-ბატონმა, მიაფრინდა და ნესტარი ჩაუშვა თვალში. ერთი საშინლად დაიღრიალა სიმწარისაგან დათვმა. მოიქნია თათი, მაგრამ კოლო გაუსხლტა და თავისი ბრჭყალით კინაღამ თვალი გამოითხარა. კოლო-ბატონი კი დაფრინავდა დათვის ცხვირ-პირთან, დაბზუოდა და ერთსა და იმავე სიტყვას უმეორებდა:

გაგვშორდი, თორემ შეგჭამთ!

## III

გაბრაზდა ჩვენი დათვი, ამოგლიჯა ძირიანად უზარმაზარ ხე და დაუწყო კოლოებს ცემა; ხან მარჯვნივ მოიქნია, ხან მარცხივ, მოიქანცა, მოიღალა და მოკლული კი ვერც ერთი ვერ დაინახა; კოლოები კი გარს ეხვეოვდნენ და შიგ ყურში ჩაბზუოდნენ. ამითი რომ ვერა გააწყო რა, წამოავლო უზარმაზარ ქვას ხელი და ესროლა, მაგრამ უნაყოფოდ ჩაუარა ამ ცდამაც.

კოლო ბატონი კი თავისას არ იშლიდა:

— ბევრი დახოცე, ბიძიავ? ხომ გითხარ, შეგწამთ მეთქი, იცოდე, შეგწამთ კიდეც.

დათვმა ბევრი ხეც ამოგლიჯა ძირიანად, უთვალავი დიდ-რონი ქვებიც ესროლა, ბევრიც იღრიალა, მაგრამ ვერც ერთი კოლო ვერ მოკლა.

კოლო ბატონი ხომ სულ თავზედ დასტრიალებდა, ისე რომ დათვმა იმის დევნაში სულ ჩამოიღადრა ცხვირ-პირი.

მისუსტებული დათვი უკანა ფეხებზედ წამოჯდა, დაფიქრდა და ახალი ხერხი მოიგონა. დაიწყო ბალახზედ გორვა, ეგონა, ამითი დავსრეს კოლოებსაო, მაგრამ ესეც ამაო იყო და ვერა გაარიგა რა. შემდეგ ადგა და თავი ხავსში წაჰყო, მაგრამ უარესი დაემართა: კოლოები დაესიენენ და ისე დაუსუსხეს კუდი, რომ დაჭრილივით აღრიალეს. მოთმინებიდგან გამოსული დათვი იმისთანა ხმით ყვიროდა, რომ სამი დღის სავალზედ გაისმა იმისი მუქარა:

— მე გაჩვენებთ სეირსა!

კოლოები ცოტა განზედ გადგნენ და ეურება დაუწყეს, იქნება მართლა მოიგონა რამეო.

დათვი ხეზედ აძვრა, შემოაჯდა ერთ დიდ, სქელ ტოტს და დაიწყო ყვირილი:

— აბა, გაბედეთ! აბა მოდით! ცხვირ პირს დაგამტვრევთ...

გაიხარხარეს კოლოებმა.

კოლო-ბატონი თავისი ამალით ერთხელ კიდევ შეუტია დათვს. ბევრი იფართხალა ჩვენმა დათუნამ, ერთი ორასიოდე კოლო გადაულახა კიდეც, რის გამოც საშინელი ხველა აუტე-

და, მაგრამ ღონე მიხდილმა თავი ვეღარ შეიმაგრა და ძირს ტყავანი გასძვრა.

წამოხტა, მოისვა თათი ნატკენზედ და შეჰყვირა:

— ნახეთ, რა მარდად ჩამოვხტი?

კოლოებმა უფრო ძალიან გაიხარხარეს.

— შეგჭამთ, შეგჭემთ, თუ არ გაგვცალე, უძახდა კოლო-ბატონი.

მთლად ღონე მიხდილი ჩვენი დათუნა წამოჯდა უკანა ფეხებზედ, სისუსტისაგან თვალებს ძლივღა ახელდა, მაგრამ რცხვენოდა, ჯერ გაქცევას არ კადრულობდა.

ამ გაჭირებიდგან ერთმა ბაყაყმა დაიხსნა, რომელიც წყლიდგან ამოძვრა, შესკუპდა ქვაზედ და მოახსენა:

— საქმე არა გქონიათ, დიდებულო ჩემო ბატონო, რომ მაგათ აჰყოლიხართ! ყურადღებას როგორ აქცევთ მაგ საზიზღრებს! ღირსნი კი არიან!

— მართლაც რომ არა! სიხარულით წამოიყვირა დათვმა. აბა გაბედონ და ჩემს ტყეში მოვიდნენ, კუდით ქვას ვასროლინებ მაგ...—ეს სთქვა და მობურწა დათუნამ.

კოლო-ბატონი უკან დაედევნა ყვირილით: დაიჭირეთ, ლამის გაგვექცეს ეს ლაჩარიო.

დანარჩენი კოღოები კი არ გამოსდგომიან: დეე გაიქცეს, ჭაობი ხომ ჩვენ დაგვრჩაო.

**ნინო მაჭავარიანისა.**

# კატა და ცხენი

(თარგმანი)

ერთ კაცს ცხენი ჰყავდა; ისე ჰყავდა შეჩვეული, რომ გაიგონებდა თუ არა იმის ხმას, გამოვარდებოდა საჯინიბედან და სულ უკან დასდევდა, როგორც ბატარა ფინია.

ცხენს ფეხი ასტკივდა და საჯინიბოში დააბეს. ამავე დროს თავისის კნუტებით ცხენის ახურის ზემოდან დასახლდა კატა. კატა და ცხენი დამეგობრდნენ.

ერთხელ, როცა კატა თავის შვილებთან მიდიოდა, გაუსხლტა ფეხი ჩამოვარდა, და ძალიან იტკინა ფეხი, ისე რომ ზემოდ ასვლა აღარ შეეძლო, ხოლო მივიდოდა სახლამდე საჭმელად და უკან დაბრუნდებოდა. შვილებთან ასვლა კი ძალიან უნდოდა: მოვიდოდა დაიწყებდა ცხენის ფეხზედ ხახუნს, მოჰყვებოდა კნავილს და შესაბრალისი თვალით შესცქეროდა ცხენს. ცხენმა გაიგო, რასაც სთხოვდა კატა; ფრთხილად ჩასჭიდა კბილები კისერში, აიყვანა და დასვა თავის შვილებთან.

ცხენიცა და კატაც ყოველ დღე ასე იქცეოდნენ. კატა ჩამოცოცდებოდა ხოლმე ბაგაში და დიდის ტანჯვით მივიდოდა სახლში, შესჭამდა თავის კერძს და დაბრუნდებოდა ცხენთან; ისიც აიყვანდა ხოლმე მაღლა და თავის კნუტებში ჩასვამდა.

მ. ყანჩელი

# არწივი და ფუტკარი

ლევ ტოლსტოისა

რაფერი სახარბიელოა შენი ბედი,—უთხრა არწივმა ფუთკარს:—მთელს შენს სიცოცხლეს შრომაში ატარებ და ცნობით კი ვერავინ ვერ გიცნობს, იმიტომ რომ ერთს ფიჭას ათასი ფუტკარი აკეთებთ და ვის შეუძლია გამოიცნოს—რომელია სახელდობრ შენი გაკეთებული.

— რა საჭიროა გამოცნობა?—მიუგო ფუტკარმა,—რავუყოთ, რომ ვერავინ მიცნობს? სამაგიეროდ უველას უყვარს ჩვენი თაფლი და ბედნიერი იმითი ვარ, რომ ჩემი გაკეთებული თაფლის წვეთიც ურევია იმ ფიჭაში.

— აბა, ჩემსას შეადარე შენი ბედი,— უთხრა არწივმა,—გამოვჩნდები თუ არა ცის სივრცეში, იმ წამსვე უველა მიცნობს დედამიწაზედ; ნადირ-ფრინველები მიიმალებიან და თვალს არ მაშორებენ. მწყემსსაც კი ძილი უფრთხება, რომ დამინახავს. აი როგორ მიცნობს უველა დიდიან-პატარიანად.

— გიცნობს, იმიტომ რომ ეშინიან შენი,—მიუგო ფუტკარმა.

**ნინო ნაკაშიძე**

# ამწვანებულ სამეფოში

**ზლაპარი ტყის კაცისა**

(თარგმნილი რუსულიდამ)

რაკრაჯა. ტყეს შემორტყმოდა დილის ბურუსი. ფრინველთ ჯერ ეძინათ; ეძინა აგრეთვე ხის ტოტზე მობუზულ მამაც ბელურა ჭეიკ-ჭეიკვას; მაგრამ როგორც ცისკარმა შეღება ცის კამარა, მამაც ჭეიკ-ჭეიკვას გაეღვიძა.—ჭივ-ჭივ! ჭივ-ჭივ, დაიხმაურა მან მთელ ტყეში, გაიღვიძეთ, გაიღვიძეთ! ადექით! მზე ამოვიდა, ჭივი-ჭივი! აი თქვე ზარმაცებო, მძინარეებო! გაიღვიძეთ და! შეფთხრიალდნენ დანარჩენნი ფრინველნიც, და აიგსო ტყე მათის ჟრიამულით:—ჭივ-ჭივ! კარ-კარ! ტიუ-ტიუ! ხომ კარგათ მოისვენეთ? მშვიდობა თქვენდა! დილა მშვიდობისა! ტიუ-ტიუ! რა მშვენიერი დილაა!... ასე ხმაურობდნენ სხვა და სხვა ხმებით და ესალმებოდნენ ერთმანეთს ფრინველნი. უველაზე მაღლა კი ჭეიკოდა და ფაცი-ფუცობდა დაუდგრომელი მამაცი ბელურა—ჭივ-ჭივ!—ჭეიკოდა ის და სტოდა ერთი ხიდან მეორეზე. გაიგეთ ახალი ამბავი? ჩვენი ტყის თავგი გრძელკუდა მართავს მეჯლის, რადგანაც მისი ქალი შავ-ხალა სრული წლოვანი ხდება. დღეს უნდა შეუკერონ სამეჯლისო კაბა; მე კიდეც დავპატიჟე ბუზანკალი შავ-ულვაშა ცოლით და ქა-

ლით. ეხლაც იქ მივფრინავ, რომ დავაჩქარო... ის იყო მო-ემზადა ბეღურა გასაფრენად როდესაც ტყეში მოისმა მაღალი ხმა „ყვა-ყვა!“—რა არის? რას ნიშნავს ეს! განცვიფრებულნი ეკითხებოდნენ ფრინველნი ერთმანეთს. დაუდგრომელი ფათი-ფუთა ბეღურა პირველი გაფრინდა იქითკენ, საიდამაც მოის-მოდა ეს ხმა და მას გაჰყვნენ: კოდოლა, ყვავი, წერო, მწყე-რი, და სხვანი... ტყის ველზე წყლის პირად იდგა დიდი მწვანე ბაყაყი; თავზე ეხურა უკან გადაშვლეპილი დიდი ცი-

ლინდრი, გულში ჰქონდა გარჭობილი სტვირი, და ხელში ეჭირა ბაირახად გრძელი ლერწამი დიდის ბოყრა ფოთლით. იქვე მდგომ ხეზე იყო მიკრული განცხადება რომელზედაც ეწერა შემდეგი. ხვალ იქნება საგანგებო წარმოდგენა განთქმულის დასის სინიორ*) ბაყაყინისა:

1. რომანსი და სერენადა: შეასრულებენ დანი შაშვინი.

2. სიკვდილი და გაცოცხლება: წარმოადგენს სინიორ შროშანი.

*) სინიორს იტალიურად ნიშნამს ბატონს..

3. ლექსებს წარმოსთქვამს განთქმული ტეის მოლექსე სინორინა ეორანიო.

შესავლის ფასი ხუთი ჭიაღუა.

ბელურამ, და მასთან მოფრენილმა ფრინველებმა დიდის ეურადღებით წაიკითხეს ეს განცხადება.

— ნება მიბოძეთ, გკითხოთ, მიუბრუნდა ჭეივ-ჭეივა ბაყაყს, თქვენ ბრძანებით უფროსი დასისა სინიორ ბაყაყინი? დიახ, უპასუხა ამაყად ბაყაყმა: მე გახლავართ განთქმული მომღერალი და თეატრის დირექტორი სინიორ ბაყაყინი, ჩემს დასში იმყოფებიან სამი შესანიშნავი მგალობელი: სინიორინი შაშვინი, აგრეთვე შესამჩნევი სინიორ შროშანი, რომელიც ჩემის ბრძანებით კვდება, და ცოცხლდება ჩემს სტვირის დაკვრაზე. რაიცა შეეხება სინორინა ეორანას, მგონი თქვენც კარგათ იცნობთ ამ ტეის საუცხოო მოლექსეს.—ბებერ ეორან მოლექსეს? როგორ არა, ვიცნობთ მას ყველანი—უპასუხეს ფრინველებმა.—მომითმინეთ ბატონებო—გააწყვეტინა სიტყვა სინიორ ბაყაყინიმ: ის სრულიადაც არ არის მოსუცი,—გეფიცებით, ჯერ კიდევ ჯიელი ბრძანდება, ის დამეთანხმა უფასოდ მიიღოს მონაწილეობა ჩემს კონცერტში და წარმოსთქვას რამდენიმე ლექსი. იმედი მაქვს, რომ ჰატივცემული საზოგადოება, გამაბედნიერებს ხვალ და მობძანდება ჩემს კონცერტზედ? - როგორა არა, როგორა არა, ყველანი გიახლებით—დასჭეივლეს საერთოდ ფრინველებმა და გაფრინდნენ აქეთ იქით საზრდოს საძებნელად. გამრჯელ ჭეივ-ჭეივას კი დრო არა ჰქონდა თავის საზრდოზე ეფიქრა, ერთი ორი კოლო ბუზი კი გადაყლაპა ფრენაში, და გაეშურა მკერვალ შავულვაშასთან, რომ შეეტყო, რამ მდგომარეობაში იყო სამეჯლისო კაბა შავხალა თაგვისა. შავულვაშა, თავის ქალით ისხდნენ და ქვედატანი კიდეც აებლანდათ მისი ცოლიც იდგა მაკრატლით და ემზადებოდა ზედატანის გამოჭრას. ხელსაქმის დასათვალი-

ერებლად აქ მოსულიყვნენ ყვინჩა გრძელ-ფეხა, წერო, დიდ-ტვინა, იხვი ჭტყელ-ცხვირა, და ბატი მყვირალა. ერთად

დამწკრიებულნი უყურებდნენ შავულვაშას მუშაობას, და ჩუმად ებაასებოდნენ ერთმანეთს.

— გამარჯვება, შავ ულვაშავ! შესჭყივლა მოფრენილმა ბეღურამ—როგორ შენ და შენი საქმე?

— კარგად,—უპასუხა დაღვრემილმა შავულვაშამ, რომელსაც ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა.

— აბა ჰა, შესძახა ჭყივ-ჭყივამ და დაჰკრა ხმელ ბეჭებზე ფრთა, ეცადე, მმობილო, და მიიღებ გასამრჯელოს, ხომ იცი ჩემი გულუხვობა!.. ეხლა მე აღარ მცალიან.—უნდა გრძელ-კუდას მივხედო. ჭყივ-ჭყივამ შემოჰკრა ფრთები და გაფრინდა, გზიდან კი კიდევ დაუძახა.—აბა შენ იცი, შავ ულვაშა, როგორც ზეგისთვის კაბას დაამზადებ. შავ ულვაშამ ჩუმად დაღუნა თავი და ქოთქოთა ჭყივ-ჭყივა გაფრინდა. მეორე დღეს ტყის საზოგადოება მოემზადა საკონცერტოდ. სინიორ ბაყაყინი იდგა შესავალ კართან და იღებდა ფას 5 ჭიაღუას, რომელსაც აწყობდა კალათაში; საზოგადოებას მისაზიდავად სინი-

ორ ბაყაყინი ხანდახან უკრავდა სტვირს. და მაღალი ხმით იძახდა ყვა, ყვა! ყვა-ყვა! მერა ნისკარტ, როგორადაც იმათში უმღერეს

ფრინველთაგანი, და მოხუცი ბუჭყეტია რომელიც სცხოვრობდა ძველ ნანგრევ სასახლეში ტყის ახლო, და ბარონად რაცხდა თავის თავს, იჩემებდა მთელ ტყეს თავის საკუთრებად, ამ ორთავეს უნდოდათ უფასოდ შესვლა, მარამ მთელი ტყის საზოგადოება წამოესარჩლა სინიორ ბაყაყინის, და ისინიც იძულებულნი იყვნენ მიეცათ ფასი. საკმაო საზოგადოება რომ შეიყარა, კონცერტი დაიწყო. ჯერ გამოვიდნენ მგალობელნი დანი სინიორინი შაშვინი, უნდა კი გიჩურჩულოთ, რომ ესენი სრულიადაც არ იყვნენ იტალიელნი, არამედ აქაური შაშვნი, მასლობელ ტყიდან; სინიორ შროშინიც აგრეთვე იმ ტყისავე შროშანი იყო; როგორათაც სინიორ ბაყაყინი დაბადებიდგანვე ჩვენს ჭაობებში მცხოვრებელი, და იტალია თვალითაც არ

ენახა. მარამ ჩვენ არ უნდა გავსცეთ მისი საიდუმლო და ვუ-
ყუროთ მათ როგორც იტალიანელებს. მე მოგახსენებთ, რომ
ჯერ გამოვიდნენ დანი შაშვინი ფრთებით ეჭირათ ნოტები და
იგალობეს გრძნობით სავსე რომანსი, მართალია აქა იქ სც-
დებოდნენ, მარამ მაინც დიდი გრძნობით იგალობეს, ისეთის
გრძნობით, რომ ბებერ ავაზაკ ბუჭუჭიასაც კი მოერია ცრემლი
და წამ და უწუმ ხელსახოცით იწმენდა თვალებს. (შეიძლება
რომ მზის გამოც ეწირვლებოდა სინათლის უჩვევი თვალები)
მგალობელთ გვერდზე უდგა ვინმე გრძელ. ფეხა, რომელიც
განვეულიეო შალში, ჩაელუნა თავი და დაესუნა თვალები, რომ
არ დაენახათ მისი ცრემლები. მასთან იდგა მამიდა ისვი ხრტელ-
ცხვირა და აფრქვევდა მდუღარებას. დანარჩენებსაც ასჩქრო-
ლებოდათ გული. დებმა გაათავეს გალობა. ფრინველთ შემოჰკრეს
ფრთა ფრთას, იძახდნენ ვაშას! და თხოულობდნენ გამეორებას.
მგალობელნი უკრავდნენ თავს და კიდევ სთქვეს რამდენიმე
რომანსი. ახლა გამოვიდა სინიორ შროშინი, მორცხვად დაუკრა
თავი საზოგადოებას და შეჯდა ბოერას ფოთოლზე რომელიც
იქვე იყო ამოსული. სინიორ ბაყაყინის ბრძანებაზედ „მოკვდი“!
გადაწვა გულ დალმა, გაჭიმა ფეხები გაიშხლართა მკვდარივით
უძრავად. სინიორ ბაყაყინიმ მიახურა ხელსახოცი და შროშანი,
უკაცრავად, სინიორ შროშანი სწორედ მკვდარს მიემგზავსა. ამ
დროს სინიორ ბაყაყინიმ დაუკრა სტვირი და აქამდინ უძრავ-
შროშინიმ ათამაშა ცალი ფეხი, მერე მეორე, გაშალა ერთი
ფრთა, მას უკან მეორეც, უცებ წამოხტა და თავი დაუკრა იქ
მყოფთ. იმასაც ბევრი ტაში უკრეს და გაამეორებინეს წარმო-
დგენა. ამას შემდეგ უნდა გამოსულიეო განთქმული მოლექსე
სინიორინა ყორანი, ანუ როგორც მას უმახდნენ ყველანი
ტყეში, ბებერი ყორანი—სუუ! ეხლა გამოვა ყორანი წაიჩურ-
ჩულეს ერთმანეთში ტყის ცხოველებმა და ფრინველებმა.
მოლექსე ყორანი მართლაც განთქმული იყო იმ ტყეში; ვერ

ჰპოებდით არც ერთს ბუდეს, არც ერთს სოროს, სადაც მისი ლექსები არ ყოფილიყო. აი რით მოეხვეჭა ყორანს პოეტის სახელი: როგორც წაიკითხავდნენ ორიოდ სტრიქონს, მის დაწერილს, მაშინვე დაემინებოდათ. ამის გამო ვისაც უძილობა სჭირდა, ყველა ამ უცხო წამალს ეტანებოდა. ყორანი უცნა-ურად იცვამდა, სულ აჭრელებულ ტანისამოს; ეხლა კი მას გრძელი თეთრი ხალათი ეცვა და შავი ყელსახვევი ჰქონდა მოგდებული კისერზე. დიდებულად და წყნარად გამოვიდა ბუჩქნარიდან, ფრთის ქვეშ ეჭირა დიდი წიგნი თავის თხზულე-ბისა. წყნარადვე გადადგა რამდენიმე ნაბიჯი შუაზე და ამაყად გადახედა საზოგადოებას.—მოდი ერთი კაი ალაგი მოვძებნოთ დასაძინებლად, წასჩურჩულა ჭყივ ჭყივამ ჩხიკვს და ორივენი შეუმჩნევლად მიიმალნენ ბუჩქში. დანარჩენთაც აირჩიეს მყუდრო ალაგები ძილისთვის. მხოლოდ გრძელ ფეხა ვერ მიიმალებოდა შეუმჩნევლად და დარჩა ყორნის ცხვირ წინ.

სინიორინა ყორანიმ დიდებულად აღაპყრო თვალნი, მერე დახედა წიგნს და დაიწყო დაღვრემილი, ნელი ხმით კითხვა. ჯერ პირველ სტრიქონის წა-კითხვაზევე ახლო მდგარ ფრინ-ველთ ჩაეძინა. დაეძინა დიდ ცხვირას, სთვლემდა გრძელ თავა; მაგრა დაეძინა ბუჭყეტიას, და ამაზე კიდევ უფრო გულიანად კოდოლა კაკუნას, სხვებსაც თვალები ებლიტებოდათ, რამდე-ნიმე წამს უკან ყოველ ცხოველს და ფრინველს ეძინა. ველზე გაი-

სმოდა მხოლოდ ხვრინვა მძინარე საზოგადოებისა; მაგრამ ყო-რანიო, არას ხედავდა და განაგრძობდა უგემურ კითხვას. განვლო ერთმა საათმა, მეორემ, ყორანი ისევ კითხულობდა. ხვრინვა

თან და თან მრიელდებოდა, მაგრამ მას არა ესმოდა რა და გულმოდგინედ კითხულობდა... დაბინდა, აგრილდა. ფრინველნი და მსეცნი გაეღვიძათ სიცივისგან და წავიდ წამოვიდნენ თავიანთ ბინისკენ. წავიდა აგრეთვე სინიორ ბაყაყინი თავის დასით და ველი მთლად დაცარიელდა, მხოლოდ შუაზე დარჩა მოლექსე ყორანი რომელიც განაგრძობდა ლექსთა კითხვას. დაღამდა, დაბნელდა, ვეღარა დაინახა რა წიგნში, მარამ რაკი ზეპირად იცოდა თავის ლექსები, მაინც არ ათავებდა, და დილამდინ იკითხამდა, რომ უცებ ტბეში არ შექმნილიყო ერთი საშინელი ყვირილი; ყორანი შეკრთა, მიიხედ მოიხედა, არავინ აღარ იყო! გაჯავრებულმა შეკეცა წიგნი და დაიწყო ყურის გდება. შუა ტბიდან მოისმოდა ფრთების შრიალი, ყვირილი და სირბილი... ეტყობოდა ტბეში მომხდარიყო რაღაცა საშინელება.

**კნ. ანასტასია ამილახვრისა.**

(შემდეგი იქნება)

# ვახტანგ გორგასალიდან ბაგრატ მესამემდე

(დასასრული)

ჩვასავლეთ საქართველოს მიბაძეს კახელებმა: იმათაც ისარგებლეს საქართველოს დასუსტებით, განდგნენ და აირჩიეს მთავრად ერისთავი გრიგოლი.

ქართლში ბატონობდა ამ დროს ერისთავი ნერსე. ყველაზე უფრო დიდ გაჭირვებაში იყო ქართლი, სადაც ერთობ მკაცრად იქცეოდნენ არაბები.

ასე დაგლეჯილი იყო საქართველო მეცხრე საუკუნის დასაწყისში.

ამ სანაში კი გამოვიდა ქვეყნის მხსნელად და შემაერთებლად კლარჯელი ბაგრატოვანი აშოტ დიდი: მან განიზრახა არაბების გაძევება ქართლიდან და ქვეყნის გაერთიანება, მაგრამ მის ამგვარ კეთილ მოსაზრებას ხელს უშლიდა კახეთის მთავარი, რომელიც ფიქრობდა, თუ ქართლი ხელში ჩაიგდო აშოტმა, მეც გამაძევებს კახეთიდანაო. ამიტომაც გრიგოლი მიემხრო არაბებს. მაშინ აშოტმა შეკრა კავშირი აფხაზეთის მეფესთან და შეერთებულის ძალით შეებრძოლნენ არაბებს, დაამარცხეს და განაძევეს ქართლიდან და ტფილისიდან.

რადგან კახეთის მთავარი გრიგოლი ამ ომში არაბებს ეხმარებოდა, აშოტი გადიჭრა კახეთში, დაამარცხა გრიგოლი, გააძევა და კახეთი კი შემოიერთა. ამგვარად აშოტი შეიქნა კლარჯეთის, ქართლის და კახეთის მბრძანებელი.

აშოტის გაძლიერება, რასაკვირველია, არაბების წინააღმდეგობას უშლიდა, აფერხებდა და ამიტომ ეოველ საშუალებას ხმარობდენ არაბები, ფრთები შეეკვეცათ აშოტისთვის. ასეც მოხდა. ერთხელ აშოტი ნადირობიდან დაბრუნებული მიდიოდა შინ. ამ დროს დაესხენ ჩასაფრებული არაბები და მოკლეს.

ისევ გაბატონდენ არაბები ქართლში და ტფილისში. კახეთიც განდგა.

კიდე რა ღვაწლი მიუძღვის აშოტ დიდს?

მან შემოიღო ქართული ქრონიკონი, ანუ წელთ აღრიცხვა.

მეორე სამაგალითო პირი, რომელმაც საქართველოს გაერთიანებას ხელი შეუწყო, იყო კლარჯელივე ბაგრატოვანი დავით დიდი. ეს ცხოვრობდა მეათე საუკუნეში.

ამ დროს მეფობდა აფხაზეთში ბაგრატის ბიძა დედით თევდოსე, რომელიც იყო ძმისაგან დაბრმავებული და მასთანვე უშვილო. მეფე თევდოსე მეტად ულირსი და შეუფერებელი იყო ქვეყნისთვის. ეს ორი მიზეზიც საკმაო იყო, რომ ქვეყანა მას განდგომოდა. ასეც მოხდა. შეიკრიბნენ აფხაზეთის ერისთავები, მოილაპარაკეს და გადასწვიტეს, ეთხოვათ დავით დიდისთვის, რომელიც ბატონობდა კლარჯეთში, რომ მას მოეცა აფხაზეთისთვის მეუფედ მისგანვე ნაშვილები ბაგრატ გურგენისძე. დავითმა აუსრულა აფხაზებს თხოვნა და დაუდგინა მათ მეუფედ ქართლის მეფის გურგენისძე ბაგრატ 980 წელს. თევდორე მეფე თან წაიყვანა დავითმა კლარჯეთში. ამგვარადვე შეუერთდა ბაგრატს ქართლი 985 წელს. ეს იყო ასე:

მის დროს ქართლში დიდი უწესოება იყო: არ იცოდა კაცმა, ვინ იყო უფროსი, ვინ უმცროსი! ვინ იყო მეფე, ვინ—ყმა. ამ არეულ-დარეულობით ისარგებლეს კახელებმა, შემოიჭრენ ქართლში და ხელში ჩაიგდეს უფლის ცხენე. მაშინ შეიკრიბნენ ქართლის

დიდებულები და წარჩინებული ვირები ქართლის ერისთავისა ნე მარუშიძის თაოსნობით და სთხოვეს კლარჯეთის მფლობელს დავითს დიდს ბაგრატოვანს,—ან მას მიეღო ქართლის მეფობა, ან გაემეფებინა მისგანვე შვილად აყვანილი მმის შვილიშვილი ბაგრატ გურგენისძე. დავითი დათანხმდა და გამოეშურა ქართლისკენ. ეს რომ კახელებმა შეიტყვეს, მიატევეს უფლისციხე. დავითმა დაადგინა მეფედ ქართლში ბაგრატ (III) და გაბრუნდა უკან.

ასე გაერთიანდა დასავლეთ საქართველო და ქართლი 985 წელს. დარჩა შემოუერთებელი მხოლოდ კახეთი.

დავითმა საქართველოს გარეთაც ასახელა თავისი სამშობლო. მის დროს აუჯანყდა საბერძნეთს ერისთავი ბარდა სკლეროსი, რომელმაც წაართვა საბერძნეთს მცირე-აზია და გაემზრახა კონსტანტინოპოლში შესვლა და გაბატონება. საბერძნეთმა შემოიკრიბა ჯარები ბარდას წინააღმდეგ. მოჰირდაჰირეები შეებრძოლენ ერთმანეთს მცირე-აზიაში მდინარე ჰალისის ჰირად სადაც ქართველებმა, თორნიკე ერისთავის სარდლობით, საოცრად დაამარცხეს ბარდა. დამარცხებულმა ბარდამ ძლივს თავს უშველა. ამ ჰატივისცემისთვის იმპერატორმა დაუბრუნა დავითს საქართველოს ძველი ადგილები. თორნიკე-კი ამ გამარჯვების შემდეგ, დიდად დასაჩუქრებული დავითისგან და იმპერატორისგან, გაეშურა ათონის მთისკენ (ოსმალეთშია) და ააგო იქ დიდებული მონასტერი, რომელსაც ეძახიან „ივერიის დავრას“. აქ დღემდის დაცულია დიდძალი ქართული ძველი წიგნები.

# ნ ა რ ე ვ ი

## მუსიკის მოსიყვარული პირუტყვები.

აღმოჩნდა, რომ მუსიკა ჰირუტყვებსაც ჰყვარებიათ, ისინიც კმაყოფილებას გრძნობენ მუსიკის ხმაზე. ჰირველად ცხენებზე სცადეს და შეამჩნიეს, რომ ისინი სიამოვნებით უგდებენ ყურს მუსიკას. ეს გამოცდა მოხდა ამ გვარად: ერთ თავლაში 15 ცხენი ება, როცა ჭამის შემდეგ ისვენებდნენ, დაუკრეს სტვირი, ცხენებმა თავები მემუსიკისკენ მიიბრუნეს და ცნობის მოყვარეობით შეაცქერდნენ, და შემდეგ დამშვიდებულნი ყურს უგდებდნენ; როცა მემუსიკემ უცრად შესწყვიტა დაკვრა, მათ მოუთმენლობა, უკმაყოფილება დაეტყოთ. მუსიკა სჰილოებსაც არა ნაკლებ უყვართ. ეს ტლანქი ცხოველი არამც თუ სიამოვნებით უგდებს ყურს, არამედ მუსიკის ხმას აჰყვება და ტაკტზე მოძრაობას იწყებს.

დათვებს კიდევ მეტად ჰყვარებიათ მუსიკა. ჰარიზში, ერთ ზოოლოგიურ ბაღში სამი დათვი წაიჩხუბნენ, ერთი ნაჯერი ხორცისათვის, ბრძოლა ისე გამწვავდა, რომ დასამშვიდებლად მანქანით წყალის შესხმა დაუჰირეს, ამ დროს ახლოდან მოისმა ვიოლინის ხმა... გაცხარებულნი მებრძოლნი შედგენ, დამშვიდდნენ და აქეთ იქით ცქერა დაიწყეს, უნდოდათ გაეგოთ, საიდან მოდიოდა ეს სასიამოვნო ხმა. როცა მემუსიკე ახლოს მოვიდა და დაუკრა, დათვები ისე დამშვიდდნენ, რომ წყალის შესხმა აღარ დასჭირდათ.

მ — ძე.

# სახალისო სამუშაო და გასართობი

## ზარი

ბაღში ტოტზე ძაფით ჩამოჰკიდეთ ზარი მიწიდან ნახევარ გოჯის სიმაღლეზე. გადაზომეთ რვა ნაბიჯი და დანიშნეთ. დანიშნული ადგილიდან მოთამაშეებმა უნდა ჰკრან ხის ჩაქუჩი ხის ბურთს ისე, რომ ზარს მოახვედრონ. გამარჯვებული ის არის, ვინც ყველაზედ ადრე მოარტყამს ბურთს 50 ჯერ, 25 ჯერ... ეს შეთანხმებაზედ არის დამოკიდებული.

---

## ხალხური

ნანა, ნანა, იავ ნანა, იავ ნანინაო,
ბატონების მამიდასა, იავ ნანინაო,
უდგიათ ჩარხის აკვანი, იავ ნანინაო,
შიგ უწევთ ბატონის შვილი იავ ნანინაო,

—

ბატონის შვილი ლეკვანი, იავ ნანინაო,
მარგალიტისა მტკვანი, იავ ნანინაო,
ოქროს ქოჩორი უსხიათ, იავ ნანინაო,
თითებიც მარგალიტისა, იავ ნანინაო,

—

საბან-არტახი დიბისა, იავ ნანინაო,
ჩანჩხურაც მარგალიტისა, იავ ნანინაო,
ბირსახურავი ნაქსოვი, იავ ნანინაო,
ნაქსოვი ოქრომკედითა, იავ ნანინაო,

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანას გეტყვი ძილისათვის, იავ ნანინაო,
მოსვენების გულისათვინ იავ ნანინაო,
თქვენსა გზასა მოვფენ ვარდსა იავ ნანინაო,
დიბა-ატლას ბაძბის მსარსა, იავ ნანინაო.

---

## სახუმარო ამოცანები

ყ მმანი იძვენ, თითოს თითო და ჰყავდა, და მშებიანად რამტენი იყვნენ?

—

დუქანში შეიდენ: მღვდელი, მღვდლის ცოლი, სარაზი, სარაზის ქალი, მოითხოვეს 4 კვერცხი, სუეველამ თითო-თითო სჭამეს და ერთი კიდევ მორჩათ. როგორღა მორჩა ერთი?

---

## რებუსი

## ა ხ ნ ა.

მეთოთხმეტე ნომერში მოთავსებული რებუსი არის: **„თაგვმა თხარა თხარაო, კატა გამოთხარაო...** გამოცანები —1) **ვაზი, ყურძენი, ღვინო**; 2) **წისქვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი მეოთხე 1905

# სანატორიუმი და საზაფხულო სამყოფი

საზაფხულო მთის სადგური 4400 ფუტის სიმაღლეზედ.

## ექიმის გახტანგ დ. ლამბაშიძისა

### მოზარდ ქალ-ვაჟთათვის 8—16 წლამდე

„პატარა-ცემში" ბაკურიანის რკინის გზაზედ

**„პატარა-ცემი"** მდებარეობს ბორჯომის ხეობაში, თრიალეთის ქედის ერთ-ერთ კალთაზედ, ბაკურიანის რკინის გზაზედ, სადგურ ნიკოლაევსა და საკოჰავს შუა, მაღლობ ვაკეზედ, 4400 ფუტის, ანუ 1340 მეტრის სიმაღლეზედ. (230 ფუტით მაღალია აბასთუმანზე).

**ამ ადგილის მდებარეობა,** როგორც მთელი ხეობისა, მეტად მოხდენილია და ლამაზი. „პატარა-ცემი" წარმოადგენს მთებით შემოზღუდულ გაშლილ ვაკეს, ფიჭვნარითა და ნაძვნარით გარშემორტყმულს; მთელ დღეს მზით განათებულია და ცივი ქარისაგანაც დაფარული, ნიადაგი მშრალი და ნოტიერებას მოკლებული აქვს, ჰავა მუდამ გრილია და სითბო-სიცივეც მეტად ზომიერი; ჰაერი სუფთა, მჩატე და საამო, ადგილი მყუდრო და ყოველ ხმაურობას მოკლებული. შუაზედ მიუდის ბაკურიანის რკინის გზა.

**აქ არის აშენებული** სანატორიუმისათვის დიდი შენობა, სავაჟო და საქალებო განყოფილებით, სამხრეთისაკენ მიქცეული, მთელ დღეს მზით განათებული, რომელშიაც დღე და ღამე ჰაერი მოძრაობს და იცვლება. სანატორიუმს აქვს საკუთარი სამეცნიერო ლაბარატორია და მეტეოროლოგიური სადგური.

სანატორიუმს და საზაფხულო სამყოფს **მიზნად აქვს,** გაუადვილოს მოზარდის აგებულებას დასვენება და ჯანმრთელობის მოპოვება, რომ ბუნებრივის საშუალებით და ჰიგიენურ პირობებში ცხოვრებით გამოსწორდეს ის ნაკლი, რაც სხეულში ან ავადმყოფობით არის გამოწვეული, ან ცხოვრების შეუფერებელ პირობებით; და ამნაირად ხელი შეუწყოს სხეულის განახლებასა და წესიერ მუშაობას, ფიზიკურ კეთილდღეობის მისაღწევად.

**მიიღებიან:** ვინც არის ნაავადმყოფარი, სხვა და სხვა სნეულებისაგან დაღლილ-დასუსტებული, მეტადრე ვისაც გამოვლილი აქვს განმეორებით: ინფლუენცა, ბრონხიტი, ფილტვის სხვა და სხვა ავადმყოფობა; ვინც მადა-დაკარგულია, სისხლ-ნაკლები, ნერვებ აშლილი, ჭაობის ციებით ანუ ტყირპის გადიდებით დასუსტებული; ვისაც სხეული დასძაბუნებია ჰაერის, სინათლისა და საზრდოს ნაკლებულობით, ან ცხოვრების შეუფერებელ პირობებით; სტომაქისა და ნაწლევების აშლილობით დასნეულებული, გონებით მოქანცული და საერთოდ ყველანი, ვისაც-კი სამკურნალო მეცნიერების რჩევით ესაჭიროება ჰაერის გამოცვლა, დასვენება, სხეულის გამაგრება და ქალაქის მორიდება ცხელ ზაფხულის თვეებში.

**არ მიიღებიან:** მწოლიარე ავადმყოფნი, რომელიმე გადამდებ სენით შეპყრობილნი, ფილტვის სიჭლექით დაავადმყოფებულნი, სულით ავადმყოფნი და არც ისინი, ვისაც რომელიმე მიზეზისა გამო მაღალ მთა-ადგილს ყოფნა სარგებლობას ვერ მოუტანს.

**სამკურნალო საშუალებათ არის დასახული შემდეგი:**

1) მთის წმინდა **ჰაერი,** მჩატე, გრილი, ფიჭვის სუნით შეზავებული და ყოველგვარ უსუფთაობას მოშორებული; დღე სულ გარედ ყოფნა, ღამე კი ღია ფანჯრებიან სახლში წოლა.

2) **გონებისა და სხეულის დასვენება,** სრული მყუდროება, შუაგულ ტყეში ყოფნა, უსიამოვნო ხმაურობის მოშორებით.

3) **გადაჭარბებული საზრდოობა** დღეში ექვსჯელ: საუზმე დილის 7 ს., მეორე 10 ს., სადილი 1 ს., სამხარი 4 ს., ვახშამი 7 ს., და მეექვსე იჯრაც 9 საათზედ.

4) **წყლით ექიმობა:** ტანის დაზელა, დუში და აბანო, ჰაერის აბანო ( uft-bad, Bain dair).

5) სხვა და სხვა გვარი **შეჭცევა-თამაშობა** ევროპიდგან გამოწერილ მოძრავ სათამაშოების საშუალებით, უცხოეთის სავარჯიშო საზოგადოებათა გეგმის მიხედვით.

6) **სამკურნალო ვარჯიშობა** სტოკჰოლმის სავარჯიშო მთავარ ინსტიტუტში ლანგის მიერ შემოღებულ გეგმისამებრ.

7) **სახალისო და გასართობი სამუშაო** და სხვა და სხვა ხელ-საქმე, საადვილო და სხეულისათვის მარგებელი, თვითეულის აგებულებასთან შერჩეული. მსურველთათვის ფოტოგრაფიული ოთახი.

8) ჯგუფებად **სეირნობა** და **მოგზაურობა** ყოველ ორ-სამ დღეს ახლო მიდამოებში.

9) ყოველ დღეს ახლად მოტანილი **მადნეული წყლები:** ბორჯომის მჟავე და წაღვერის რკინის წყალი, ექიმის დანიშნულებისამებრ.

10) **სხვა წამლებით** ექიმობა მხოლოდ აუცილებელ საჭიროების დროს.

ყოველი ზემოხსენებული საშუალება შემოღებულია მეცნიერებისაგან დამტკიცებულ წესისამებრ, სწარმოებს ექიმის მუდმივ ხელმძღვანელობით და კერძოდ თვითეულის აგებულებასთან შეფარდებით.

**კვირაში ერთხელ** თვითეული სანატორიუმში მყოფი დაწვრილებით ისინჯება ექიმისაგან, თანაც სამეცნიერო იარაღებით აღინიშნება ის თანდათანი ცვლილება, რაც დაეტყობა თვითეულ აგებულებას, მეტადრე: წონას, ღონეს, მკერდის სისრულეს, სულის თქმას, გულისა და მაჯის ცემას და სხ.

ყოველივე ზემოხსენებული, როგორც ხანგრძლივმა გამოცდილებამ დაამტკიცა უცხოეთის ყველა კუთხეებში და მეცნიერებამაც გამოარკვია, სხვაგვარ წამლობაზედ უფრო წარმატებით ჰკურნავს ზემოდ აღნიშნულ სნეულებათ ასე რომ ეხლა ყველასაგან სასარგებლოდ არის დასახული სანატორიუმების ბუნებრივი მკურნალობა, რასაც შედეგად მოჰყვება ხოლმე შემდეგი ცვლილება: ყოველ მოზარდს ემატება წონა, ძალა და ღონე, უგანივრდება მკერდი, უმაგრდება კუთები, სხეულის საზრდოობა უმჯობესდება. მოდუნებულ აგებულებას სიმარჯვე ემატება და გონებას სიფხიზლე, ხასიათი მშვიდდება და სწორდება, ტოლ-ამხანაგებში ყოფნით ერთობა და ზნეობრივად იწვრთნება, და რასაკვირველია ყოველივე ეს დიდათ ხელს უწყობს და აწინაურებს სხეულითაც, გონებითაც და ზნეობრივადაც მოზარდის აგებულებას.

**წასვლისას** თვითეულს შესაფერისი დარიგება ეძლევა, როგორც უნდა მოუაროს თავის-თავს მომავალში.

ყვილანი **იყოფებიან ჯგუფებად** ღონის, სქესისა და წლოვანობის მიხედვით. თვითეულ ჯგუფს ჰყავს საკუთარი თვალყურის მგდებელი და ყველას-კი საერთოდ—მუდმივი ხელმძღვანელი ექიმი.

სანატორიუმში და საზაფხულო სამყოფში **დადგენილი წეს-რიგი** ყველასათვის სავალდებულოა. ვინც არ ღაეთანხმება მას, უნდა მიატოვოს ეს დაწესებულება ერთი კვირის განმავლობაში.

ეს წეს-რიგი, რომელსაც მიზნათ აქვს სხეულის კეთილ-დღეობა, ადვილი შესათვისებელია და მომავლისათვისაც სასარგებლო: სხეული პატარაობითვე ეჩვევა სიცივის ატანას, რიგიანად სმა-ჭამას, სასარგებლო მოძრაობას, წესიერ მუშაობას და საერთოდ ჰიგიენურ ცხოვრებას.

სამკურნალოდ დანიშნულია ზაფხულის თვეები: 15 **ივნისიდგან** 31 **მარიამობისთვემდე.** მიიღებიან მსურველნი ორი თვითა და ნახევრით და ორი თვითაც.

**მისაღებ პირთა რიცხვი განსაზღვრულია.**

**ფასი** პატარათათვის თვიურად ხუთი თუმანია, ხოლო მოზრდილთათვის ექვსი თუმანი, ამაშია ნაგულისხმევი: სადგომი, ლოგინი, საზრ-

დო, განათება, წყლით ექიმობა, სარეცხის დარეცხა, წყლები, წამლები და საერთოდ ყოველ-მხრივი მოვლა და ექიმობა.

**ვისაც ჰსურს** სამკურნალოდ მოსვლა, წინდაწინვე უნდა გაძოიგზავნოს ავადმყოფის სრული აღწერილობა და ადგილობრივი ექიმის წერილიც. საბოლოო გარდაწყვეტა მიღების შესახებ მხოლოდ ავადმყოფის პირადად ნახვის შემდეგ არის შესაძლებელი.

თვითეულს **უნდა მოჰყვეს** თან: ორგვარი ტანისამოსი: საზაფხულო და ერთი თბილი, თეთრეული 4—6-მდე, ოროლი ფეხსაცმელი, მათში ერთი უქუსლო, ჰილის ქუდი მზეში სახმარად და, თუ შესაძლოა მაგარი ტილოს ზევიდგან ჩასაცმელი ტანისამოსი სათამაშოდ.

ყოველ კვირას მშობლებს გაეგზავნებათ წერილი სანატორიუმის ექიმისაგან და ეუწყებათ მათი შვილის მდგომარეობის ამბავი.

**დაწვრილებით ცნობების** შესატყობად მსურველთ უნდა მიმართონ ექიმს ვახტანგ დავითის ძეს ღამბაშიძეს მაისის 31 დე ქალაქ თფილისს, შემდეგ-კი ბორჯომით პატარა-ცემის სანატორიუმში.

**მისავლელი გზა**: ბორჯომიდგან ორი საათის სავალზე. ბაკურიანის რკინის გზით, მე-25 ვერსზე სადგურ ნიკოლაევს შემდეგ საკუთარი ბაქანია „პატარა-ცემში“, სადაც ყოველი სახალხო მატარებელი ჩერდება საკუთრად სანატორიუმისათვის.

**მატარებლების მიმოსვლა**: ბორჯომიდგან გადის დილის 9 ს. 7 წ. „პატარა-ცემის“ სანატორიუმში მიდის 11 ს. 13 წ., პატარა-ცემიდგან გამოდის ნაშუადღევის 1 ს. 19 წ. და ბორჯომს მოდის 3 ს. 29 წ. საჭიროების დაგვარად დადის მეორე მატარებელი: ბორჯომიდგან გადის ნაშუადღევის 5 ს. 28 წ. „პატარა-ცემის“ სანატორიუმში მოდის საღამოს 7 ს. 32.; პატარა ცემიდგან გამოდის საღამოს 9 ს. 45 წ. ბორჯომს მოდის ღამის 11 ს. 33 წ...

**ადრესი**: ფოსტით: ბორჯომით—„პატარა-ცემს“ ექიმს ვ. ღამბაშიძეს. ტელეგრაფით: ბორჯომი ღამბაშიძეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ნაკადულის“ რედაქცია აუწყებს სკოლის მოძწრთ,
ვინც მკათათვის ბოლომდის ფულს არ შემოიტანს,
ჟურნალის გზავნა მოესპობად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა